ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29251272**
თარიღი:**07/05/2025**

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ''თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 15 იანვრის N 29.29250159 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ' 'თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის N 29.29250159 განკარგულების დანართში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1.დანართის მე- 3 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები:

ა)იძულებით გადაადგილებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები,

ბ) ობოლ ბავშვთა ოჯახები (18 წლამდე),

გ) სამ და მეტ შვილიანი ოჯახები (სოციალურად დაუცველი ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000)

დ) იშვიათი და ონკოლოგიურ დაავადების მქონე პირთა ოჯახები,

ე) გადაადგილება შეზღუდული შშმ პირთა ოჯახები,

ვ) ვეტერანთა ოჯახები,

ზ) მარტოხელა პირები.

თ)ოჯახში ძალადობის მსხვერპლი.(რომელთა შემოსავალი ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ აღემატება 10 000 ლარს)

ი)სოციალურად დაუცველი ოჯახები, (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000)

კ) ქრონიკულ დაავადებათა მქონე პირები.

ლ)დაუნის სინდრომით და აუტიზმით დაავადებული ბენეფიციარები.

მ) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომლებსაც შეუსრულდათ 100 ან მეტი წელი.''

2. დანართის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,მუხლი 4. ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა:

1).თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების , მარტოხელა პირების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება 100 ლარის ოდენობით წელიწადში ერთჯერადად.

2) ობოლ ბავშვთა ოჯახების (18 წლამდე), შშმ პირთა ოჯახების , ვეტერანთა ოჯახების დახმარება 150 ლარი ერთჯერადად.

3) ქრონიკულ დაავადებათა მქონე პირები დაავადების სიძიმის მიხედვით 100 / 150 ლარი, სამი და მეტ შვილიანი ოჯახები (სოციალურად დაუცველი) და სოციალურად დაუცველი ოჯახები(რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000) დახმარება 150 ლარით წელიწადში ერთჯერადად

4) დაუნი, აუტიზმი , იშვიათ დაავადების მქონე პირთა და ონკლოგიურ ბენეფიციართა ოჯახთა 250 ლარით, წელიწადში ერთჯერადად.

5) მოქალაქეებს, რომლებსაც შეუსრულდათ 100 ან მეტი წელი საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაეწიოს ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით.''

მუხლი 2.განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ

დავითი გოგბერაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი